

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი 080367

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

ხის მხატვრული დამუშავება დიზაინის სფეროს შემადგენელი ნაწილია. ხის ნაწარმს უტილიტარული და ესთეტიკური ფუნქციები გააჩნია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ხის მხატვრულად დამუშავება გულისხმობს ხის ნაწარმის დამზადებისა და მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების, მრავალფეროვანი ტექნიკური ხერხების, მასალისა და ხეზე ჭრის სპეციფიური მეთოდების ერთობლიობას.

II. დასაქმების სფერო

ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სხვადასხვა იურიდიული სტატუსის მქონე ხისა და ავეჯის საწარმოებში, შეუძლია შექმნას კერძო წარმოება და აწარმოოს საკუთარი ბიზნესი.

III. დამატებითი მოთხოვნები

- მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება
- მეოთხე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მესამე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა
- მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის ქონა

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული განათლება სამსაფეხურიანია (III, IV, V). თითოეულ საფეხურზე შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა შესაბამისი პროფესიული დიპლომი.

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს. აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა მეოთხე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 60 კრედიტს, აქედან კრედიტების მინიმუმ 40% ეთმობა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკას. კურსდამთავრებულს ენიჭება ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა მეხუთე საფეხურის პროფესიული დიპლომი.

V. ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის პროფესიული კვალიფიკაციის აღმწერი

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.</p>	<p>იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ შრომის უსაფრთხოების ნორმები და წესები ხის მხატვრული დამუშავებისას; ✓ სამუშაო ადგილის ორგანიზაციის წესი; ✓ ხის ჯიშები, მათი კლასიფიკაცია და დამუშავების თავისებურებები; ✓ ხეზე კვეთისათვის საჭირო ძირითადი (სხვადასხვა ჯიშის ხეები, ფილები) და დამხმარე (ლაქ-საღებავები, ავეჯის ფურნიტურა, ანტისეპტიკები, წებოები და სხვ.) მასალები, მათი თვისებები; ✓ ხელსაწყო-იარაღები, სამარჯვები და დაზგა-დანადგარები; ✓ პროფესიული ტერმინოლოგია; ✓ აქვს ხეზე კვეთისა და მხატვრულად დამუშავების სხვადასხვა მეთოდების მოსამზადებელი, დამზადების ძირითადი და დამხმარე და მოპირკეთების ტექნოლოგიური პროცესებისა და შესასრულებელი ოპერაციების ზოგადი ცოდნა; ✓ ხის დეკორატიული დამუშავების მეთოდები; ✓ ხეზე გადასატანი ნახაზის, ესკიზის ხატვისა და ნაკეთობაზე მისი გადატანის წესი; ✓ აცნობიერებს გართულებული ტექნიკური ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს. კერძოდ, იცის ხის ბრტყელი და მოცულობითი ნაკეთობების ჭრისათვის
-------------------------------------	---	--

		<p>მასალებისა და ხელსაწყო-იარაღების შერჩევის და ხეზე რელიეფური ჭრის წესი;</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ტექნოლოგიური რუქები კითხვის წესები; ✓ მხატვრული ნაკეთობის მოპირკეთების ტექნოლოგიური ოპერაციები; ✓ მხატვრული ნაკეთობის დამზადების სხვადასხვა ეტაპებზე ხარისხის კონტროლის მეთოდები, სხვადასხვა სახის წუნები და მათი აღმოფხვრის წესები; ✓ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია გამოიყენოს სფეროს სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრში, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები</p>	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ხის მხატვრული დამუშავებისას შრომის უსაფრთხოების ნორმები და წესები; ✓ სამუშაო ადგილის სწორი ორგანიზაცია; ✓ პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; ✓ მოსამზადებელი სამუშაოების სწორად შესრულება; ✓ პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება; ✓ ნიმუშის მიხედვით ესკიზის სწორად შესრულება და მისი გადატანა ხეზე; ✓ გამოიყენოს ხეზე კვეთისა და მხატვრული დამუშავების დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი; ✓ შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები; ✓ სწორად შეარჩიოს და მიუსადაგოს შესასრულებელ სამუშაოს სათანადო მეთოდები, ხელსაწყო-იარაღები, სამარჯვები, ინსტრუმენტები, დაზგა-დანადგარები და ძირითადი და დამხმარე მასალები; ✓ ტექნოლოგიური რუქების გამოყენება; ✓ დასამუშავებელი ხის ზედაპირების მომზადება მხატვრულად დამუშავებისათვის; ✓ ხეზე კვეთის მოსამზადებელი, ძირითადი, დამხმარე და მოსაპირკეთებელი ოპერაციების განხორციელება ტექნოლოგიური თანმიმდევრობის დაცვით; ✓ ხეზე რელიეფური ჭრა; ✓ მიღებული ნაკეთობების ხარისხის შეფასება და წუნდებული ნაწილების აღმოფხვრა.

		<ul style="list-style-type: none"> ✓ შესრულებული სამუშაოების შესახებ მარტივი ანგარიშის შედგენა; ✓ სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების გამოყენება.
დასკვნის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ცნობილი წყაროების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება ხეზე კვეთისა და მხატვრულად დამუშავებისას სხვადასხვა სამუშაოების ჩატარების დროს წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად; ✓ დაამუშაოს და მართებულად გამოიყენოს მოპოვებული ინფორმაცია პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხო ენის პრაქტიკული გამოყენება.	<p>შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კოლეგებთან და დამკვეთებთან; ✓ ეფექტურად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მოსამზადებელი ნახაზების, ცალკეული დეტალების ვიზუალური გამოსახულების შესაქმნელად. ✓ პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენება უცხო ენაზე; ✓ არსებული ინფორმაციის მოძიება და კომუნიკაცია უცხო ენაზე; ✓ ინდივიდუალურად და გუნდურად მუშაობა; ✓ კონკრეტულ სიტუაციებთან ადაპტაცია; ✓ სტრესულ სიტუაციებთან გამკლავება.
სწავლის უნარი	შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის აღება	შეუძლია კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად განსაზღვროს პროფესიული სწავლების გარკვეული მიმართულებები (მაგ. ტექნიკური ხერხები, დეკორატიული დამუშავების მეთოდები) და საკუთარი ინიციატივით გაიღრმავოს ცოდნა.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად	იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას. არის მოწესრიგებული, ორგანიზებული და კეთილსინდისიერი. შესასრულებელი სამუშაოს მიმართ აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა.

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს სფეროს ფაქტობრივ გარემოებებსა და თეორიულ საფუძველზე დამყარებული ცოდნა, აცნობიერებს პრობლემების გადაჭრის ზოგად შესაძლებლობებს</p>	<p>აქვს ხის მხატვრულ ნაკეთობათა დამზადებისათვის საჭირო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. იცნობს ტრადიციული და უახლესი დაზგა-დანადგარებისა და ხელსაწყოების უსაფრთხოდ მოხმარების წესებს. იცნობს ხის დამუშავების თანამედროვე ტექნოლოგიებს, აცნობიერებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრისათვის მათი გამოყენების ზოგად შესაძლებლობებს.</p>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია სამუშაოს დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოიყენოს სანდო ინფორმაციის წყაროები. შეიმუშავოს სტრატეგია წამოჭრილი სპეციფიკური ამოცანის გადასაჭრელად და შეაფასოს მიღებული შედეგები შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესების მიზნით.</p>	<p>შეუძლია ხის მხატვრულ ნაკეთობათა შესრულების პროცესში წამოჭრილი ტექნიკური ხასიათის პრობლემის გადასაჭრელად გამოიყენოს სპეციალური ლიტერატურიდან ან/და სხვა საინფორმაციო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია და ამგვარად შეიმუშავოს სწორი სტრატეგია. შესწევს უნარი შეაფასოს მიღებული შედეგი და იზრუნოს მზა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად შესაბამისი მიდგომის შემუშავება. ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვა და ანალიზი</p>	<p>ხის ნაწარმის მხატვრულად დამუშავების პროცესში სპეციფიკური პრობლემების გადასაწყვეტად გააჩნია შესაბამისი მიდგომის შემუშავების უნარი. ესკიზის დამუშავებისა და მასალაში შესრულების დროს კომპოზიციის, პროპორციების, სტანდარტების გარკვეული უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში აქვს ალტერნატიული შესაძლებლობების განხილვისა და ანალიზის უნარი.</p>
<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. პროფესიათან დაკავშირებულ საკითხებზე ცვალებად სიტუაციებში შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება.</p>	<p>შეუძლია კოლეგებთან და ამ სფეროთი დაინტერესებულ პირებთან ხის მხატვრული ნაწარმის შექმნისა და გამოყენებული მხატვრული ტექნოლოგიების საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია. შეუძლია შეასრულოს ესკიზები და საპროექტო ნაწილი გრაფიკული მეთოდებით ან/და კომპიუტერული ციფრული პროგრამების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ფლობს პროფესიულ ტერმინოლოგიას და შეუძლია უცხოურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება და გამოყენება.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების დამოუკიდებლად</p>	<p>შეუძლია ხის მხატვრულად დამუშავებულ ნაკეთობათა მასალაში შესრულებისას ახალი მეთოდებისა და საშუალებების</p>

	განსაზღვრა, განჭვრეტად, თუმცა ნაწილობრივ ცვალებად ვითარებაში.	დამოუკიდებლად მოძიება, მათი შესწავლა და პრაქტიკაში გამოყენება დასმული ამოცანის უკეთ გადაჭრის მიზნით.
ღირებულებები	პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს და ცვალებად სიტუაციებში მოქმედებს მათ შესაბამისად.	აქვს უნარი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ხის მხატვრული დამუშავების პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ნორმებს. მკაცრად იცავს მასალაში მუშაობის უსაფრთხოების, ხელსაწყოებისა და დაზღა-დანადგარების მოხმარების წესებს და ნებისმიერ სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად.

ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღწერა

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და/ან სპეციალიზებული თეორიული პრაქტიკული ცოდნა, აცნობიერებს პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს (საზღვრებს)	აქვს ხის მხატვრული დამუშავების ტექნოლოგიურ პროცესთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ხის ნაწარმის დამზადების სამუშაო პროცესის სწორად დაგეგმვის, ორგანიზაციის და წარმართვის ხერხები, იცნობს ავეჯის სხვადასხვა დეკორატიულ სტილებს, სადურგლო შეერთებებისა და ჩარხებზე დამუშავებული დეტალებით მასალაში მუშაობის სხვადასხვა ტექნოლოგიას.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად	შეუძლია: გრაფიკული საპროექტო და მუშა ნახაზების შექმნა, ხის მხატვრული ნაკეთობების თანამედროვე სტილისტური გადაწყვეტა (მაგ. ჰაი-ტექის, მინიმალისტური, არტ-დეკოს სტილში) განსაზღვრული გარემოსა და ფუნქციური დანიშნულების გათვალისწინებით.
დასკვნის უნარი	შეუძლია კარგად განსაზღვრული პრობლემების ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება	აქვს ხის მხატვრულ დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა ტექნიკური პრობლემის ამოცნობის უნარი როგორც ესკიზის დამუშავების, ასევე მასალაში მუშაობის დროს. შეუძლია წამოჭრილი პრობლემების გადაჭრისათვის მონაცემების იდენტიფიცირება (მასალათმცოდნეობა, ტექნოლოგიური ციკლი და სხვ.) და მათი ანალიზი კარგად აპრობირებული მეთოდების გამოყენებით. წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ირჩევს გარკვეულ სტრატეგიას და შეუძლია დასაბუთებული დასკვნების წარმოდგენა გაკეთებული არჩევანის თაობაზე.

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>შეუძლია იდეებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტების და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, შეუძლია უცხოურ ენაზე პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის გადაცემა და ანგარიშის წარდგენა.</p>	<p>შეუძლია პროფესიასთან და კონკრეტულ სამუშაოსთან დაკავშირებული ინფორმაციის, შემოქმედებითი იდეებისა და ტექნიკა-ტექნოლოგიური მეთოდების სრულყოფილად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და მონაცემთა ბაზების გამოყენებით, ანალოგიების მოშველიებით. ფლობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ობიექტის ფორმა, მოცულობა, პროპორციები და ტექსტურები თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით. შეუძლია ანგარიშის მომზადება და წარდგენა შესრულებული სამუშაოს შესახებ უცხო ენაზე.</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში.</p>	<p>შეუძლია პრაქტიკული საქმიანობის სფეროში კარიერული წინსვლის დაგეგმვა და ამისათვის აუცილებელი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა, აგრეთვე დასმული ამოცანის ადექვატურად გადასაჭრელად დამატებითი ცოდნის/ინფორმაციის დამოუკიდებლად შეძენა.</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აფასებს თავისი და სხვების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისადმი და უზიარებს სხვებს</p>	<p>ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული საქმიანობისათვის დაწესებულ უსაფრთხოების წესებს და სხვებისგანაც განუხრელად მოითხოვს მათ დაცვას. ხის მხატვრულად დამუშავების სპეციფიკიდან გამომდინარე მაქსიმალურად ცდილობს, ეკოლოგიურად სუფთა მოსაპირკეთებელი მასალების გამოყენებას (ლაქ-საღებავები, ანტისეპტიკები) და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის გამოშვებას</p>